

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და
განვითარების დებულება, დანართი №05

ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01-03 10.01.2023

რექტორი  კ. ხვედელიძე



სამაგისტრო ნაშრომის შესრულების
წესი

ნდ №2-030101-01/05

ბათუმი

2023

მუხლი 1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის შესახებ

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინამდებარე წესი აღწერს ბნსუ-ში სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებულ მდგომარეობებს. წესის მიზანია ერთიანი მდგომარეობის ჩამოყალიბება და გამოყენება ნაშრომის შესრულებისას, ასევე, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ხელშეწყობა.

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის შესახებ

სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად მაგისტრანტმა ადეკვატური რესურსების შერჩევისა და მოძიების, რელევანტური მეთოდებისა და მდგომარეობის გამოყენებით მონაცემების და ინფორმაციის შერჩევის, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებით უნდა შეძლოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი მიზანი

სამაგისტრო ნაშრომის (შემდგომში - ნაშრომი) მიზანია, მოახდინოს მაგისტრანტის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია და გაღრმავება. მაგისტრანტმა უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მდგომარეობის გამოყენებით, ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ მაგისტრანტს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა საკვლევი თემის თავისებურებების გათვალისწინებით.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

- ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ზომის ფორცელზე, Word-ის ფორმატში, Sylfaen (Georgian Unicode) შრიფტის გამოყენებით;
- Word-ის დოკუმენტი უნდა უნდა დაფორმატდეს შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- გვერდის ველები
 - ზედა ველი - Top 2
 - ქვედა ველი - Bottom 2
 - მარცხენა ველი - Left 2,5
 - მარჯვენა ველი - Right 2
 - გვერდების ნუმერაცია: Insert – Page Numbers:
 - ლათინური ციფრებით - შესავლამდე;
 - არაბული ციფრებით - შესავლის შემდეგ;
 - თავფურცელზე არ უნდა ჩანდეს გვერდი.
 - ლათინური და არაბული ციფრების გასამიჯნად შესავლის წინ ჩართეთ Break-ი (Insert – Break – Next Page)
 - ტექსტების შრიფტი: Sylfaen (Georgian Unicode);
 - შრიფტის ფერი: შავი (ნებადართულია ფერადი ილუსტრაციების გამოყენება);
 - გვერდების რაოდენობა: 35-50 გვერდი დანართების გარეშე;
 - შრიფტის ზომა: Font – Size - 12;
 - ტექსტის განლაგება გვერდზე: Format – Paragraf – „Justify“;
 - აბზაცი: Format – Paragraf – Spacing After - 6;
 - სტრიქონებს შორის ინტერვალი: Format – Paragraf – Line Spacing - 1,5;
 - ნაშრომის ნაწილების (თავები) ახალ გვერდზე დაწყებისთვის გამოიყენეთ (Insr - BreaaK – Page Break);
 - ტექსტის ერთეულების დასანომრად გამოიყენეთ Bullets and Numbering-ი.
 - ტექსტის შიგნით თანაზომიერი ინტერვალების გასაკეთებლად გამოიყენეთ Tab-ი.
 - დანართი: კითხვარები, გრაფიკები, ცხრილები, ნახაზები და სხვა დამატებითი მასალა უნდა იქნეს წარმოდგენილი დანართების სახით.
- ნაშრომის სტრუქტურაში შემავალი კომპონენტების გაფორმება უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოცემულ წესებს.
 - ნაშრომი, რომელიც არ იქნება შესრულებული დადგენილი წესების შესაბამისად, უბრუნდება მაგისტრანტს ხარვეზის გასწორებისა და ნაშრომის ჩაბარებისთვის დადგენილ ვადაში განმეორებით წარდგენის მიზნით.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმების წესი

- საწყისი გვერდები:
 - სატიტულო გვერდი;
 - განაცხადი;
 - აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
 - სარჩევი;
 - გრფიკების, ცხრილების და ილუსტრაციების ჩამონათვალი;
 - აბრავიატურების ჩამონათვალი.
- ძირითადი ნაწილი:
 - შესავალი;
 - ლიტერატურის მომოხილვა;
 - მეთოდოლოგია;
 - შედეგები;
 - დასკვნები და რეკომენდაციები.
- ბოლო გვერდები:
 - გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია;
 - დანართები (არ არის სავალდებულო).

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №05			
ნდ №2-030101-01/05	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	2-12

მუხლი 6. სატიტულო გვერდი

1. სამაგისტრო ნაშრომი (შემდგომში - ნაშრომი) იწყება თავფურცლით (ე.წ. „სატიტულო“ გვერდით), რომელზეც შემდეგი ინფორმაცია უნდა განთავსდეს: ნაშრომის სათაური, მაგისტრანტის სახელი და გვარი, ფაკულტეტის და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, ინფორმაცია ნაშრომის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების (რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში) შესახებ (სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი/სხვ.), ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სრული სახელწოდება, ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი. თავფურცელი არ ინომრება, მონაცემები კი იწერება ცენტრირებულად, შემდეგი თანმიმდევრობითა და შრიფტის პარამეტრებით (იხ. დანართი №1);

2. თავფურცელის დაფორმატების პარამეტრები:

- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სრული დასახელება - 14 (გამუქებული);
- ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა - 12 (გამუქების გარეშე);
- ნაშრომის სათაური - 14 (გამუქებული);
- ნაშრომის ავტორის (მაგისტრანტის) სახელი და გვარი - 12 (გამუქებული);
- მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - 12 (გამუქების გარეშე);
- ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ის და რეცენზენტ(ებ)ის მონაცემები - 12 (გამუქების გარეშე);
- ნაშრომის შესრულების ადგილი ((ქალაქი) და თარიღი (წელი) - 12 (გამუქებული).

მუხლი 7. განაცხადი

განაცხადი მიზნად ისახავს წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის (შემდგომში - ნაშრომი) დაცვას პლაგიატისაგან. ის წარმოადგენს ნაშრომის ავტორის განაცხადს მის მიერ წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ. განაცხადში სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება:

„როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მაგისტრანტის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი“.

მუხლი 8. აბსტრაქტი

1. აბსტრაქტი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის (შემდგომში - ნაშრომი) მოკლე შინაარსს, რომელიც მოიცავს ნაშრომთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხს. ამასთან, აბსტრაქტი დამოუკიდებელი ტექსტობრივი ერთეულია, რომელსაც აქვს თავისი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. შესაბამისად, მასში უნდა იყოს აღწერილი: ნაშრომის საკვლევი თემა და საკითხები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები და შედეგების მნიშვნელობა. აბსტრაქტი იწყება ახალი გვერდიდან. მისი ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენაზე უნდა იყოს წარდგენილი. ჯერ აბსტრაქტის ქართული ვერსია უნდა იყოს მოცემული, ხოლო შემდეგ ინგლისური. თითოეული ენაზე შესრულებული აბსტრაქტის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 400 სიტყვას, ხოლო ტექსტის შემდეგ ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები უნდა იყოს მითითებული (იხ. დანართი №2). აბსტრაქტის დაფორმატების პარამეტრები:

- შრიფტის ფორმა და ზომა: სათაური - 14 (გამუქებული და სწორი); ტექსტი - 12 (სწორი, გამუქების გარეშე);
- ტექსტის კიდები გასწორებულია ორივე მხარეს (ფორმატირების სტილი: “Justified”);
- სტრიქონებს შორის დაშორება - 1.5;
- სათაურსა და ტექსტს შორის დაშორება - 2 სტრიქონი.

მუხლი 9. სარჩევი (სტრუქტურა)

1. სარჩევი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ცხრილების ჩამონათვალი;
- გრაფიკების ჩამონათვალი;
- აბრავიატურის ჩამონათვალი;
- შესავალი;
- სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;
- მეთოდოლოგია;
- შედეგები;
- შედეგების ინტერპრეტაცია;
- დასკვნები და რეკომენდაციები;
- ბიბლიოგრაფია;
- დანართები.

2. სარჩევის დაფორმატების პარამეტრები:

- შრიფტის ფორმა და ზომა: სათაური („სარჩევი“) – 14 (გამუქებული, სწორი); სარჩევში შესული ნაწილების სათაურები - 12 (შესაძლებელია სხვადასხვა დონის სათაურები წარმოადგინოთ სხვადასხვანაირად, მაგ.: პირველი დონის სათაურები გამუქებული შრიფტით, მეორე დონის სათაურები დახრილი შრიფტით და მესამე დონის კი სწორი შრიფტით და ა.შ.);
- ტექსტის კიდები გასწორებულია ორივე მხარეს (ფორმატირების სტილი: “Justified”);
- სტრიქონებს შორის დაშორება - 1.5;
- სათაურსა და ტექსტს შორის დაშორება - 2 სტრიქონი.

მუხლი 10. შესავალი

1. შესავალი არის სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი, რომელიც, პირველ რიგში, რეცენზენტის და სხვა მკითხველის ყურადღებას იქცევს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ შესავალი იყოს ლოგიკურად შეკრული. ნაშრომის შესავალში, როგორც წესი, აღიწერება:

- საკვლევი პრობლემა;
- კვლევის მნიშვნელობა;
- კვლევის მიზანი;
- ჰიპოთეზა ან/და საკვლევი საკითხები.

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №05			
ნდ №2-030101-01/05	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	3-12

2. შესავლის მომზადებისას შემდეგი დეტალებია გასათვალისწინებელი:

- შესავალი უნდა ქმნიდეს კვლევის თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ნათლად მიუთითებს კვლევის ჩატარების საჭიროებაზე;
- შესავალი იწყება კვლევის თეორიული/ისტორიული/სხვა საფუძვლებით, საკვლევი სფეროს მიმოხილვით და თანდათან ვიწროვდება საკვლევი თემის და საკითხების წარმოჩენის მიზნით. შესავალში ყალიბდება საკვლევი თემის/პრობლემის დებულება, რომლის საფუძველზე ხდება კვლევის მიზნის, ჰიპოთეზის და საკვლევი საკითხების ჩამოყალიბება;
- საკვლევი პრობლემა ისევე, როგორც კვლევის მიზნები, ჰიპოთეზა და საკვლევი კითხვები გასაგებად და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ყველა კითხვა თანმიმდევრულად და ლოგიკურად უნდა იყოს წარმოდგენილი (ჩატარებული კვლევის ფარგლებში ყველა საკვლევ კითხვას პასუხი თანმიმდევრულად უნდა გაეცეს);
- შესავალში ნათლად უნდა იყოს აღწერილი, თუ როგორ უკავშირდება საკვლევი პრობლემა/თემა მეცნიერების შესაბამის სფეროს.
- შესავალში ტექსტი ყველა მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს;
- შესავალში, ისევე როგორც ნაშრომის მთლიან ტექსტში, დაცული უნდა იყოს აკადემიური სტილისთვის მისაღები და კონკრეტულ დარგში არსებული დამახასიათებელი ენობრივი ნორმები;
- სასურველია, რომ შესავალი დასრულდეს ნაშრომის მომდევნო ნაწილების მოკლე აღწერით.

მუხლი 11. ლიტერატურის მიმოხილვა

აუცილებელი სავალდებულო კომპონენტია და გულისხმობს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის, უკვე ჩატარებული კვლევების მიმოხილვას, დაკავშირებას ნაშრომთან და სხვ. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისას სამაგისტრო ნაშრომის ავტორი აჩვენებს, რომ შეუძლია მიაგნოს საკითხზე უკვე არსებულ ცოდნას, დაამუშაოს, გაიაზროს, გადმოსცეს იგი და გამოიყენოს საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნებისთვის.

მუხლი 12. მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიის ძირითადი მიზანია ჩატარებული კვლევის დეტალური აღწერა. კერძოდ:

- **კვლევის ტიპი:** თვისებრივი; რაოდენობრივი; შერეული (ის, თუ რა ტიპის კვლევა უნდა შესრულდეს, კვლევის სფეროსა და საკვლევ თემაზე არის დამოკიდებული).
- **კვლევის მეთოდი და მისი რელევანტურობა:** მეთოდოლოგიის ნაწილში კვლევის ყველა გამოყენებული მეთოდი უნდა იყოს მითითებული. შერეული კვლევის მეთოდების გამოყენება დასაბუთებული უნდა იყოს მათი ეფექტურობის თვალსაზრისით.
- **კვლევის პროცედურა:** მეთოდოლოგიის ნაწილში კვლევის პროცედურები დეტალურად და თანმიმდევრულად უნდა იყოს აღწერილი: კერძოდ, კვლევის ყველა ეტაპი და ჩატარებული აქტივობა უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნათლად და სრულად. აუცილებელია მონაცემების შეგროვების ეტაპებისა და პროცედურების, კვლევის ინსტრუმენტ(ებ)ის, მონაცემების (თვისებრივი ან/და რაოდენობრივი) ანალიზის აღწერა. თუ კვლევა ითვალისწინებს გარკვეული ხელსაწყოების ან ტექნოლოგიების გამოყენებას, მაშინ შესაბამისი დეტალური აღწერა უნდა იყოს გათვალისწინებული მეთოდოლოგიის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ მეთოდოლოგიის ნაწილში აღინიშნოს ჩასატარებელი კვლევის ჩარჩოები და მიეთითოს, თუ რისი შესწავლა არ არის გათვალისწინებული კვლევის ფარგლებში. შეზღუდვები ასევე შეიძლება იყოს მითითებული შერჩევასთან, მონაცემების შეგროვებასთან და ანალიზთან მიმართებაში.

მუხლი 13. შედეგები

1. სამაგისტრო ნაშრომის ამ ნაწილში კვლევის შედეგები უნდა იყოს აღწერილი. ის, თუ როგორ აღიწერება შედეგები, პირველ რიგში, დამოკიდებულია კვლევის ტიპზე (თვისებრივი, რაოდენობრივი თუ შერეული) და გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე. ამავდროულად აუცილებლად გასათვალისწინებელია ნაშრომში კვლევის შედეგების ასახვის ზოგადი ნორმები;
2. შედეგების წარდგენა სისტემური და ლოგიკური უნდა იყოს. ამისთვის შედეგების ნაწილი სასურველია ოთხ ძირითად ერთეულად იყოს ორგანიზებული:
 - შესავალი, რომელშიც მოცემულია შედეგების წარდგენის თანმიმდევრობა;
 - შერჩევის აღწერა მნიშვნელოვანი პარამეტრების მიხედვით;
 - შედეგების შინაარსის წარდგენა და აღწერა;
 - დასკვნა, რომელიც აჯამებს კვლევის ძირითად შედეგებს და წარმოადგენს ლოგიკურ ბმას ნაშრომის შემდეგ ნაწილთან.
3. კვლევის შედეგები ობიექტურად და სტრუქტურირებულად უნდა იყოს განხილული და წარდგენილი. ყურადღება უნდა გამახვილდეს კვლევის შედეგებზე და არა მათ მნიშვნელობაზე. რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში შედეგების განხილვა კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში მოცემულ ინფორმაციას უნდა ეყრდნობოდეს. თვისებრივი კვლევის შემთხვევაში შედეგები სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვაში გამოკვეთილი ძირითადი ტენდენციების საფუძველზე უნდა იყოს განხილული;
4. რაოდენობრივი მონაცემების გამოყენების შემთხვევაში ვრცელი ცხრილები და გრაფიკები დანართებში უნდა იყოს მოცემული. შედეგების ნაწილში მონაცემთა მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ცხრილები და გრაფიკები უნდა იყოს წარმოდგენილი. ტექსტის ნაწილი, რომელშიც მონაცემთა ვიზუალური პრეზენტაცია არის გათვალისწინებული ცხრილების, გრაფიკების და ილუსტრაციების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით იყოს ორგანიზებული:
 - ცხრილის, გრაფიკის და სხვა ილუსტრაციის წარდგენა (სათაური და მათი ძირითადი მიზანი);
 - ცხრილი, გრაფიკი და სხვა ილუსტრაცია (მონაცემების ვიზუალური პრეზენტაცია);
 - ცხრილში, გრაფიკსა და სხვა ილუსტრაციაში მოცემული მონაცემების აღწერა და ანალიზი (გასათვალისწინებელია, რომ აღწერა რაოდენობრივი მონაცემების მხოლოდ ვერბალურ განმეორებას არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ მონაცემებში მნიშვნელოვანი ტენდენციების აღწერას უნდა ითვალისწინებდეს.)
5. თვისებრივი მონაცემების შემთხვევაში კვლევის შედეგები შესაბამისი ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი თემატიკის და ტენდენციების მიხედვით უნდა იყოს აღწერილი.

მუხლი 14. დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის დასკვნა შესავალ ნაწილთან ერთად ნაშრომის ჩარჩოს ქმნის და ლოგიკურად უკავშირება ერთმანეთს მას. დასკვნის მიზანია გასცეს პასუხი საკვლევ კითხვაზე. წარმოაჩინოს აჩვენოს, როგორ შესრულდა კვლევის მიზანი. დასკვნაში უნდა შეჯამდეს კონკრეტული შედეგები, აღიწეროს, რა დადგინდა კვლევის, ანალიზის, ინტერპრეტაციის და ა.შ. შედეგად. დასკვნა სამ ძირითად საფეხურს მოიცავს: 1) კვლევის მიზნის, ამოცანების (მთავარი კითხვების) რეკონსტრუქცია; 2) კონკრეტული შედეგების წარ-

ძირითადი დოკუმენტი: „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №05			
ნდ №2-030101-01/05	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	4-12

მოდენა; 3) სამომავლო პერსპექტივების დასახვა. დასკვნაში არ ხდება ახალი თემის წამოწევა და მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ნაშრომის ძირითად ნაწილში არ იქნა განხილული. მასში კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რა სიახლე შეაქვს კვლევის შედეგებს არსებულ ცოდნაში. დასკვნა ლაკონური და მოკლე უნდა იყოს და ნაშრომის არაუმეტეს 10%-ს წარმოადგენდეს. დასკვნაში მხოლოდ კვლევის შედეგები უნდა წარმოჩინდეს, შესაბამისად დასკვნაში არ იწერება: ის მონაკვეთები, რომლებიც უკვე აღწერილია ნაშრომის შესავალ ან ძირითად ნაწილებში; თეორიული მიმოხილვა ან კონტექსტის აღწერა; ციტატა და პარაფრაზი, სხვა ავტორთა მოსაზრებები; ცნებებთან განმარტებები და ა.შ.

მუხლი 15. ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლიოგრაფია უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან და მასში მიეთითება ყველა ის წყარო, რომელიც ნაშრომში გამოყენებული. ჩამონათვალში ავტორები უნდა მიეთითოს Chicago-ს სტილის მიხედვით ჯერ ავტორის გვარისა და სახელის სრულად მითითება, რასაც უშუალოდ მიჰყვება წყაროს დასახელება, გამოცემის ადგილის, საგამომცემლო სახლისა და გამოცემის წელის მითითება). ბიბლიოგრაფია მიეთითება იმ ენაზე, რომელზედაც კონკრეტული ნაშრომი არის შესრულებული. თუ გამოყენებულია ნათარგმნი ლიტერატურა, იგი მიეთითება თარგმანის ენაზე. ბიბლიოგრაფიაში მოტანილი წყაროები უნდა დალაგდეს ანბანის მიხედვით. თავდაპირველად განათავსეთ ქართულენოვანი, შემდეგ კი უცხოენოვანი წყაროები.
2. ერთი ან რამდენიმე ავტორის ნაშრომის მითითებისას, იქნება ეს წიგნი, სტატია თუ ელექტრონული წყარო, გამოიყენეთ შემდეგი წესი: მიეთითება გვარი, შემდეგ - სახელი სრულად, წყაროს სახელწოდება, გამოცემის ადგილი: საგამომცემლო სახლი, წელი, მაგ.,
 - **ერთი ავტორი** - ავტორის გვარი, სახელი. წელი. სათაური. გამოცემის წელი. საგამომცემლო სახლი, მაგ.: Thelen, Kathleen. *How Institutions Evolve: The Political Economy of Skills in Germany*. Cambridge: Cambridge University Press, 2004
 - **ორი ავტორი** - პირველი ავტორის გვარი, სახელი და მეორე ავტორის სახელი და გვარი. წელი. სათაური. საგამომცემლო სახლი, მაგ.: Thelen, Kathleen. *How Institutions Evolve: The Political Economy of Skills in Germany*. Cambridge: Cambridge University Press, 2004.
 - **ორზე მეტი ავტორი** - პირველი ავტორის გვარი, სახელი და დანარჩენი ავტორის სახელები და გვარები. წელი. სათაური. საგამომცემლო სახლი, მაგ.: Thelen, Kathleen, Peter and James Shinn. *Political Power and Corporate Control: The New Global Politics of Corporate Governance*. New Jersey: Princeton University Press, 2005.
 - **ორზე მეტი ავტორი** - პირველი ავტორის გვარი, სახელი და დანარჩენი ავტორის სახელები და გვარები. წელი. სათაური. საგამომცემლო სახლი, მაგ.: Thelen, Kathleen, Peter and James Shinn. *Political Power and Corporate Control: The New Global Politics of Corporate Governance*. New Jersey: Princeton University Press, 2005.
 - **საერთაშორისო სატრანსპორტო - საექსპედიციო მომსახურება**. თბილისი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
 - **ორგანიზაცია, როგორც ავტორი** - მაგ.: World Bank. *Strategies for Sustainable Financing of Secondary Education in Sub-Saharan Africa*. Washington, D.C.: World Bank, 2008.
 - **წიგნი რედაქტორებით** - მაგ.: Colhoun, Craig and Brian S. Turner, eds. *The Sage Handbook of Sociology*. London: Sage, 2005.
 - **ელექტრონული წიგნი** - მაგ.: გვარი, სახელი. წელი. სათაური. გამოცემის ნომერი. გამოცემის ადგილი. საგამომცემლო სახლი. URL მისმართი (წვდომის თარიღი)
 - **სტატია სამეცნიერო ჟურნალიდან** - მაგ.: სტატიის ავტორის გვარი, სახელი. ჟურნალის გამოსვლის წელი. სტატიის სათაური.
 - **ვებ გვერდის გადმოწმება** - მაგ.: ავტორის გვარი, სახელი. გვერდის სათაური. ვებ - გვერდის სახელწოდება. URL მისმართი (წვდომის თარიღი)
 - **სტატია ელექტრონულ პერიოდულ გამოცემაში** - მაგ.: Mulvin, Lynda and Steven E. Sidebotham. "Roman Game Boards from Abu Sha'ar (Red Sea Coast, Egypt)." *Antiquity* 78, no. 301 (2004): 602-617. Accessed May 27, 2013. url: <http://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&db=a9h&AN=14595148&site=ehost-live>.
 - **საკონფერენციო მოხსენება** - მაგ.: Balado, Félix. "On the Shannon Capacity of DNA Data Embedding." In *Proceedings of 2010 IEEE International Conference on Acoustics, Speech, and Signal Processing*, Dalls, March 14-19, 2010. Dallas: IEEE, 2010.

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის აკინძვის წესი

სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიკრას ზამზარისანი ასაკინძვით. გარე ყდა უნდა იყოს გამჭვირვალე.

მუხლი 17. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვის ვალდებულება. პლაგიატი

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელია აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვა, მათ შორის წყაროების სწორი გამოყენება და მათი სათანადო მითითება. წყაროს გამოყენება მისი მითითების გარეშე პლაგიატად ითვლება, არ აქვს მნიშვნელობა წყაროდან გამოყენებულია ციტატა, მოხდა მისი ნაწილის პარაფრაზი, თუ მხოლოდ იდეა ან მოსაზრება აღებულია წყაროდან - ყველა შემთხვევაში საჭიროა მიეთითოს შესაბამისი წყარო. მითითების გარეშე სხვისი ნაზრების გამოყენებასთან ერთად, პლაგიატად ჩაითვლება ასევე შემდეგი შემთხვევები:
 - თუ წყაროდან მოტანილია ციტატა, მაგრამ არ გამოიყენეთ ბრჭყალები ან არ გამოყავით ის ციტატის აღნიშნული აზრით.
 - თუ კეთდება წყაროს პერიფრაზი (პერიფრაზი არის წყაროს ამონარიდის თქვენი სიტყვებით გადმოცემა), მაგრამ პერიფრაზი მალოან ახლოს არის წყაროში მოცემულ ფრაზებთან, რადგანაც მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შევლილი. პერიფრაზის დროს არ უნდა იყოს გამოყენებული წყაროს ტექსტი.
2. წყაროს გამოყენებისა და მითითების პრინციპების დაცვა აუცილებელია, კერძოდ: მკაფიოდ გამოყავით წყაროდან მოტანილი ციტატები და იდეები. ბრჭყალებში ჩასვით ციტატები; არასოდეს გააკეთოთ ტექსტთან ისე მიახლოებული პარაფრაზი, რომ მკითხველმა ორიგინალად ჩათვალოს. არასოდეს გამოიყენოთ ინტერნეტში განთავსებული მასალები მითითების გარეშე. მიუხედავად იმისა, მასალა ღიაა, საჯაროდ ხელმისაწვდომია თუ არა, თქვენ ვალდებული ხართ მიუთითოთ წყარო; მიუთითეთ ნებისმიერი ისეთი მასალის წყარო, რომელიც სხვას ეკუთვნის და რომელიც თქვენ არ შეგიქმნიათ;
3. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას დასაშვებია მაქსიმუმ 15%-იანი თანხვედრის ზღვარი;
4. თუ წარმოდგენილი ნაშრომის შესწავლის (მათ შორის, ანტიპლაგიატის კომპიუტერული პროგრამით შემოწმების) შედეგად დადგინდება ციტატების/მონაცემების/სხვ. გამოყენების, წყაროების მითითების, ინფორმაციის არაკორექტული გამოყენების (პლაგიატის ან ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების, მანიპულირების ნიშნების მქონე), თანხვედრის დადგენილი 15%-იანი ზღვარის გადაჭარვება ან სხვ. დარღვევები, მაშინ შემოწმების შედეგების შესახებ ეცნობა ნაშრომის ავტორს და მას ეძლევა ვადა (05 კალენდარული დღე) ხარვეზების გამოსასწორებლად. მაგისტრანტი, ხელმძღვანელთან კონსულტაციებით, ვალდებულია დადგინდეს ვადაში აღმოფხვრას ხარვეზები და წარმოადგინოს ნაშრომი განმეორებითი შემოწმებისათვის;
5. ზემოთ მითითებულ შემთხვევაში ნაშრომის ავტორმა შეიძლება გაასაჩივროს მიღებული შემოწმების შედეგები, მოითხოვოს საკითხის განხილვაზე დასწრება - განმარტოს აღნიშნული ფაქტები და დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია. დასაბუთებული განმარტების არარსებობის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ნაშრომის ავტორი ეთანხმება მიღებულ შემოწმების შედეგებს;

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №05			
ნდ №2-030101-01/05	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	5-12

6. ნაშრომში ხარვეზების გასწორებაზე უარის თქმის, მითითებულ ვადაში განმეორებითი შემოწმებისთვის ნაშრომის არ წარდგენის ან განმეორებით წარმოდგენილ ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი არ დაიშვება საჯარო დაცვაზე და ნაშრომის ავტორი კარგავს იმავე ნაშრომის განმეორებით წარდგენის უფლებას.

მუხლი 18. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები ნაშრომის შესრულების პროცესში

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (შემდგომში - ნაშრომის ხელმძღვანელი) აცხადებს თანხმობას მაგისტრანტის ხელმძღვანელობაზე (იხ. დანართი №3), ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის გეგმის შედგენაში, თანამედროვე რელევანტური ლიტერატურის, უახლესი ინფორმაციის, მონაცემების და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მისცეს მას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, გამოთქვას შენიშვნები, გაუწიოს კონსულტირება და დაეხმაროს ნაშრომის მომზადების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოამზადოს დასკვნა ნაშრომზე (იხ. დანართი №4), ხელი შეუწყოს დადგენილ ვადაში რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემაში და მაგისტრანტთან ერთად განიხილოს რეცენზენტის დასკვნაში (იხ. დანართი №5) მოცემული ინფორმაცია;

2. ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია მაგისტრანტის ნაშრომზე მუშაობის დასრულებამდე პერიოდულად შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/ხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის მიზნით. ნაშრომში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში მოახდინოს ხარვეზების სრულფასოვანი ანალიზი, კონსულტაციებით და რჩევებით დაეხმაროს მაგისტრანტს მათ აღმოფხვრაში, უზრუნველყოს ნაშრომის განმეორებით შემოწმება და საჯარო დაცვაზე დაშვებასთან დაკავშირებული დასკვნის (რეკომენდაციის) მომზადება. თუ ნაშრომის შესრულებისთვის დადგენილ (სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მითითებულ) ვადაში მაგისტრანტი ვერ ამთავრებს კვლევას/ნაშრომის მომზადებაზე მუშაობას, მაშინ ნაშრომის ხელმძღვანელმა ეს საკითხი უნდა განიხილოს მაგისტრანტთან ერთად და მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არგუმენტირებული რეკომენდაციით მომდევნო სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის დასრულების, შესაბამისად - ნაშრომის შეფასების) თაობაზე.

მუხლი 19. დანართები

1. წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე შინაგანაწესის საფუძველზე. წინამდებარე დოკუმენტის დანართია:

- დანართი №01 - სამაგისტრო ნაშრომის სატიტულო ფურცელი;
- დანართი №02 - აბსტრაქტი;
- დანართი №03 - სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის თანხმობა;
- დანართი №04 - სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა;
- დანართი №05 - სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის დასკვნა.

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტს და ცვლილებებს დოკუმენტში ამტკიცებს ბნსუ-ს რექტორი;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წინამდებარე დოკუმენტით ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
4. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ზათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
5. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში.

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №05			
ნდ №2-030101-01/05	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	6-12

სამაგისტრო ნაშრომი

მგ-2-№75-08-10.01.2023

სამაგისტრო ნაშრომი	დასათაურება
--------------------	-------------

მაგისტრანტი	სახელი, გვარი
-------------	---------------

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	
---------------------------------	--

საგანმანათლებლო პროგრამა	
უმაღლესი განათლების საფეხური	II (მაგისტრატურა)
პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“
მისამართი	
საკონტაქტო ტელეფონი	E-mail
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი	
თანამდებობა / დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	
სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი	
თანამდებობა / დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი	
დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	

ნაშრომის შესრულების ადგილი

ნაშრომის შესრულების წელი

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №05			
ნდ №2-030101-01/05	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	7-12

აბსტრაქტი

აბსტრაქტის ტექსტი ქართულ ენაზე _____

ძირითადი საძიებო სიტყვები: _____, _____, _____.

Abstract

The text of the abstract in English _____

Key Words: _____, _____, _____.

ძირითადი დოკუმენტი: „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №05			
ნდ №2-030101-01/05	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	8-12



დანართი №03

თანხმობა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე

მფ-2-№46-08-10.01.2023

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი	სახელი, გვარი
აკადემიური ხარისხი	
თანამდებობა	

მაგისტრანტი	სახელი, გვარი
სამაგისტრო პროგრამა	
საკვლევი თემა	

კვლევის თემის აქტუალობა და მნიშვნელობა

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

(ხელმოწერა)

თარიღი:

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №05			
ნდ №2-030101-01/05	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	9-12



დანართი №4

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა

მგ-2-№29-08-10.01.2023

მაგისტრანტი	სახელი, გვარი	ბნსუ-ში ჩარიცხვის	ბრძანება№ თარიღი	
-------------	---------------	----------------------	---------------------	--

სამაგისტრო ნაშრომის დასახელება	
-----------------------------------	--

ფაკულტეტი	
-----------	--

სამაგისტრო პროგრამა	
---------------------	--

მაგისტრანტის ხელმძღვანელ(ებ)ი	
----------------------------------	--

სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი მიმოხილვა
<p>შენიშვნა: აღწერეთ საკვლევი თემის აქტუალობა. ზოდადად მიმოხილეთ და დაახასიათეთ სამაგისტრო ნაშრომი და მაგისტრანტის მიერ შესრულებული სამუშაო; მიუთითეთ არის თუ არა მიღწეული დაგეგმილი შედეგები. გაითვალისწინეთ, რომ რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში დასკვნაში უნდა იყოს მითითებული ყველა მათგანის პოზიცია.</p>

სამაგისტრო ნაშრომის ანტიპლაგის (მსგავსების დეტექტირების) პროგრამით შემოწმების შედეგები		
სამაგისტრო ნაშრომში აღმოჩენილია თანხვედრა 15%-ზე ნაკლები	?? %	<input checked="" type="checkbox"/>
სამაგისტრო ნაშრომში აღმოჩენილია თანხვედრა 15%-ზე მეტი		<input type="checkbox"/>

რეკომენდაცია რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემის და ნაშრომის შეფასებაზე დაშვების თაობაზე	
სამაგისტრო ნაშრომი გადაეცეს რეცენზენტს შესაფასებლად	<input checked="" type="checkbox"/>
ნაშრომი დაშვებულია შეფასებზე	<input checked="" type="checkbox"/>
მაგისტრანტს არ მიეცეს ნაშრომის გადაამუშავების და წარდგენის უფლება	<input type="checkbox"/>
სამაგისტრო ნაშრომი დაუბრუნდეს მაგისტრანტს გადასამუშავებლად	<input type="checkbox"/>

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

(ხელმოწერა)

თარიღი:

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №05			
ნდ №2-030101-01/05	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	10-12

რეცენზენტის დასკვნა

მგ-2-№30-08-10.01.2023

სტუდენტი	სახელი, გვარი
----------	---------------

ნაშრომის დასახელება	
---------------------	--

საგანმანათლებლო პროგრამა	
-----------------------------	--

ინფორმაცია რეცენზენტის შესახებ	
სახელი, გვარი	
აკადემიური ხარისხი/თანამდებობა	

დასკვნა
<p><u>შენიშვნა:</u> აღწერეთ საკვლევი თემის აქტუალობა. ზოდადად მიმოიხილეთ და დაახასიათეთ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი. მიუთითეთ ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეები, თქვენი რეკომენდაციები და შენიშვნები.</p>

საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი

(ხელმოწერა)

თარიღი:



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №05			
ნდ №2-030101-01/05	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	12-12